საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარსიმაშვილი ავთანდილ ედუარდის ძე



ვარსიმაშვილი ავთანდილ ედუარდის ძე (დ. 10. XI. 1959, თბილისი), თეატრისა და კინოს რეჟისორი. 1981 დაამთავრა საქართვ. შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სარეჟისორო ფაკ-ტი (რ. სტურუას კლასი). 1982–92 მუშაობდა თბილ. შოთა რუსთაველის სახ. აკად. თეატრში. დამდგმელ რეჟისორად. 1992–96 იყო „კავკასიის ტელერადიოკომპანიის" სამხატვრო ხელმძღვანელი. 1997 კოლეგებთან ერთად დააარსა და ხელმძღვანელობდა „თეატრალურ სარდაფს". 1999-იდან თბილ. ა. გრიბოედოვის სახ. რუს. დრამ. თეატრის მმართველი და სამხატვრო ხელმძღვანელია. 2001 დააარსა „თავისუფალი თეატრი", 2008 – კინოსტუდია „vars studio". მნიშვნელოვანი დადგმებია: რუსთაველის თეატრში – კ. გოლდონის „მშვენიერი ქართველი ქალი" (1981), ლ. თაბუკაშვილის „ათვინიერებენ მიმინოს" (1982), ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი" (1986), მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე" (1988), უ. შექსპირის „ტიტუს ანდრონიკუსი" (1993); ა. გრიბოედოვის თეატრში – ე. ზოლას „ტერეზა რაკენი" (1999), მ. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა" (2005), ნ. გოგოლის „ქორწინება" (2011), ლ. ტოლსტოის „ცხენის ისტორია" (2012); არის რეჟისორი მხატვრული ფილმისა „თვინიერი" (1990, საქართველოსა და იტალიის ერთობლივი ნაწარმოები) და სატელევიზიო ფილმისა „სახლი ძველ უბანში" (1993–94; 30 სერია); კინოსტუდია Varს სტუდიოში გადაიღო ფილმები: „იდიოტოკრატია" (2008), „ყველაფერი კარგად იქნება" (2009), „მიდი ძმაო, მიდი!" (2010), „სამოთხე" (2010), „ისფაჰანი – ბათუმი" (2012). 1981-იდან ეწევა პედ. მოღვაწეობას შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნ-ტში, არის უნ-ტის სრული პროფესორი, რეჟისურის მიმართულების ხელმძღვანელი, საქართვ. სახელმწ. პრემიის (1999), კ. მარჯანიშვილის პრემიისა (2002)

და არაერთი თეატრ. პრემიის ლაურეატი.

Image not found or type unknown